სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 199

2016 წლის 05 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის, „2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 25 აპრილის N79 ბრძანებით დამტკიცებული უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების გაცემის შესახებ კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N1192848, 05.10.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული

პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესი თანდართული დანართის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 05 ოქტომბრის N 199 ბრძანებით

"უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე მონაწილე პროექტებისთვის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი

1. კონკურსში მონაწილე თითოეული პროექტი შესაფასებლად გადაეცემა ორ ექსპერტს.

2. თუ ორი ექსპერტის შეფასებებს შორის სტანდარტული გადახრა ნაკლებია 6-ზე, მაშინ საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის მეთოდით.

3. თუ ორი ექსპერტის შეფასებებს შორის სტანდარტული გადახრა მეტია ან ტოლია 6-ის, მაშინ პროექტი შესაფასებლად გადაეცემა მესამე ექსპერტს.

4. თუ პროექტი შეფასდა სამი ექსპერტის მიერ, მაშინ საბოლოო ქულა ტოლი იქნება ორი ახლოს მდგომი შეფასების საშუალო არითმეტიკულის (რამდენიც არ უნდა იყოს მათ შორის განსხვავება).

5. თუ მესამე ექსპერტის შეფასების შედეგად, მინიმალური და მაქსიმალური შეფასებები ერთნაირად აღმოჩნდება გადახრილი მედიანასაგან (მედიანა არის შეფასება, რომელიც მოთავსებულია მინიმალურ და მაქსიმალურ შეფასებებს შორის), მაშინ საბოლოო ქულა მედიანის ტოლი იქნება